ბრიქსის როლი ახალ მსოფლიო წესრიგში

DOI: https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.05

დავით ოსეფაშვილი
პოლიტიკური ექსპერტი
d.osepashvili@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/0009-0002-3039-500X

აბსტრაქტი

XXI საუკუნის საერთაშორისო სისტემაში ღრმა ცვლილებები მიმდინარეობს. ფორმალურად დასრულდა ცივი ომის შემდგომი უნიპოლარული სტრუქტურა და იწყება ახალი, მრავალპოლარული წესრიგის კონფიგურირება. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა BRICS-ის გაერთიანებამ (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა), რომელიც სულ უფრო აქტიურად ითამაშებს სისტემურ როლს გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში. წარმოდგენილ სტატიაში შესწავლილია BRICS-ის სტრუქტურული თავისებურებები, მისი სტრატეგიული მისწრაფებები, როგორც გლობალური სამხრეთის გეოეკონომიკური გამოხატულება და მისი რეალური შესაძლებლობები, შეცვალოს ძალაუფლების საერთაშორისო განაწილება. განხილულია, თუ როგორ იქცა BRICS ახალი მსოფლიო წესრიგის ერთ-ერთ არქიტექტორად, განსაკუთრებით აშშ-ს ჰეგემონიის შესუსტებისა და დასავლური ლიბერალური წესრიგის კრიზისის ფონზე.

საკვანძო სიტყვები: ბრიქსი, გლობალური სამხრეთი, მრავალპოლარული მსოფლიო, ჰეგემონია, გეოეკონომიკა

The Role of BRICS in the New World Order

Davit Osepashvili
Political Expert
d.osepashvili@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/0009-0002-3039-500X

Abstract

The 21st-century international system is undergoing profound transformation. The post-Cold War unipolar structure has formally collapsed, giving way to the configuration of a new multipolar world order. Within this shift, the Brazil, Russia, India, China, South Africa (BRICS) alliance has gained special significance and is increasingly playing a systemic role in global political and economic affairs. This article analyzes the structural features and strategic aspirations of BRICS as a geopolitical expression of the Global South and evaluates its real potential to reshape the distribution of power in the international arena. The author discusses how BRICS has become one of the architects of the new world order, especially against the backdrop of declining U.S. hegemony and the crisis of the Western liberal system.

Keywords: BRICS, Global South, Multipolar World, Hegemony, Geoeconomics

შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის არქიტექტურა რადიკალური ტრანსფორმაციის პროცესშია. გლობალური დღის წესრიგი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში დასავლური ცივილიზაციის ფასეულობებზე იყო აგებული, სისტემურ კრიზისში იმყოფება. ამერიკის შეერთებული შტატების ჰეგემონიის დაქვეითებასა და ლიბერალური წესრიგის დისფუნქციაზე, თანხვედრაში წარმოიშვა ძალების ახალი კონფიგურაცია — მრავალპოლარული მოდელი, რომელიც ცდილობს, ახლებურად გადაანაწილოს საერთაშორისო ძალაუფლება და გავლენები.[69]

[69] ვ. ყიფიანი, „რეგიონალური ურთიერთკავშირები - დამატებითი შესაძლებლობა ქვეყნის მეტი უსაფრთხოებისა და უკეთესი ეკონომიკისათვის“, ინტერპრესნიუსი, თბილისი, 2020. URL: https://journals.4science.ge/index.php/sociopolitologos/article/download/3580/3566/5216 (ბოლოს გადამოწმებულია: 08.06.2025)

ამ კონტექსტში, ბრიქსი, როგორც განვითარებადი ეკონომიკების სტრატეგიული კოალიცია - დღითიდღე დიდ როლს ითამაშებს ახალ მსოფლიო წესრიგში. მისი წევრები არა მხოლოდ გლობალური სამხრეთის ინტერესებს, არამედ ანტიჰეგემონური დღის წესრიგის მატარებელ ძალას წარმოადგენენ.[70] მიუხედავად შიდა სტრუქტურული განსხვავებულობისა, ისინი მიზნად ისახავენ ისეთი საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბებას, სადაც დასავლური ჰეგემონია აღარ იქნება ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი.[71]

I. ბრიქსის გეოეკონომიკური საფუძვლები და სტრუქტურული მოწყობა

BRICS, როგორც გლობალური სამხრეთის სახელმწიფოების სტრატეგიული გაერთიანება, წარმოადგენს საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის გადანაწილების მცდელობას, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს დასავლური ფინანსურ-ეკონომიკური ინსტიტუტების უპირატესობას. ამ კოალიციის საწყისი უკავშირდება 2001 წელს, ჯიმ ო'ნილი მიერ წარმოდგენილ კონცეფციას[72]. მოგვიანებით 2010 წელს, გაერთიანებას შეუერთდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და BRIC გადაიქცა BRICS-ად.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ბრიქსის ქვეყნები ერთობლივად მოიცავენ მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 40%-ს და ქმნიან გლობალური მშპ-ს დაახლოებით 31.5%-ს (2024 წლის მონაცემებით)[73]. მათ გააჩნიათ მდიდარი რესურსების ბაზა, განვითარებადი ინდუსტრიები და მზარდი შიდა ბაზრები. BRICS ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნლოვანი სტრუქტურული ერთეულია, ახალი

[70] Samir Amin, *Beyond US Hegemony? Assessing the prospects for a Multipolar World*, Zed Books, 2006.
[71] Robert D. Kaplan, "Anarchy and Hegemony", Stratfor Global Affairs.
URL: https://worldview.stratfor.com/article/anarchy-and-hegemony
(ბოლოს გადამოწმებულია: 08.06.2025)
[72] O'Neill, J. (2001). *Building Better Global Economic BRICs*, Goldman Sachs Global Economics Paper No. 66.
URL: https://www.goldmansachs.com/insights/archive/archive-pdfs/building-better-brics.pdf
(ბოლოს გადამოწმებულია: 08.06.2025)
[73] Statista, "Share of global GDP based on PPP in 2024, by country group."
URL: https://www.statista.com/statistics/270439/global-gross-domestic-product-gdp-by-country-group/
(ბოლოს გადამოწმებულია: 08.06.2025)

განვითარების ბანკი (NDB), რომელიც დაარსდა 2014 წელს და წარმოადგენს ალტერნატივას, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ.[74]BRICS წევრებს შორის განსხვავებები - პოლიტიკური სისტემები და გეოპოლიტიკური სტრატეგიები, ზოგჯერ ქმნიან კოორდინაციის სირთულეს. თუმცა, მათ აერთიანებთ საერთო მიზანი: დასავლური დომინაციის გარდატეხა.[75] 2023 წელს, BRICS-მა, სათავე დაუდო ინიციატივას, BRICS Plus-ის ფორმატში, რომელიც ითვალისწინებს, ახალი წევრების გაერთიანებას ამ ორგანიზაციაში.[76]

II. ბრიქსის გეოპოლიტიკური პოზიციონირება და ინსტიტუციური გამოწვევები

ბრიქსი ცდილობს, შექმნას ალტერნატიული ძალის პოლუსი, რომელიც დააბალანსებს დასავლურ ჰეგემონიას. ჩინეთი და რუსეთი BRICS-ის ფარგლებში, წარმოადგენენ სამხედრო-პოლიტიკურად ყველაზე ძლიერ მოთამაშეებს. ჩინეთი გეოეკონომიკურ გავლენას ავრცელებს პროგრამით „ერთი გზა - ერთი სარტყელი“[77]. რუსეთი კი პოზიციონირებს, როგორც ენერგორესურსების მიმწოდებელი ქვეყანა.[78]

ინდოეთი, მიუხედავად ჩინეთთან დაძაბულობისა, იყენებს BRICS-ს, რათა თავი აარიდოს დასავლურ კოალიციებზე დამოკიდებულებას[79]. სამხრეთ აფრიკა კი შავი კონტინენტის ინტერესების წარმომადგენელია.[80]

---

[74] The New Development Bank, “About Us.”
URL: https://www.ndb.int/about-us/
(ბოლოს გადამოწმებულია: 08.06.2025)
[75] Keohane, R. (1984). *After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy*. Princeton University Press.
[76] Al Jazeera, “BRICS invites six countries to join the bloc”, 24 აგვისტო, 2023.
URL: https://www.aljazeera.com/news/2023/8/24/brics-invites-six-countries-to-join-the-bloc
(ბოლოს გადამოწმებულია: 08.06.2025)
[77] Belt and Road Portal, “Belt and Road cooperation.”
URL: https://www.yidaiyilu.gov.cn/
(ბოლოს გადამოწმებულია: 08.06.2025)
[78] Trenin, D. (2016). *Should We Fear Russia?* Polity Press.
[79] Hall, P.A. (1993). “Policy paradigms, social learning, and the state: the case of economic policymaking in Britain.” *Comparative Politics.*
[80] South African Government, “South Africa in BRICS.”
URL: https://www.gov.za/about-government/international-relations/south-africa-brics
(ბოლოს გადამოწმებულია: 08.06.2025)

მიუხედავად საერთო მიზნებისა, ბრიქსს აქვს რამდენიმე სისტემური გამოწვევა: შიდა წინააღმდეგობები, კონსენსუსზე დაფუძნებული მართვის მოდელი და ინსტიტუციური სიმწიფის დეფიციტი[81]. თუმცა, ბრიქსი მაინც აღიქმება, როგორც სერიოზული ალტერნატიული პლატფორმა[82][83].

III. ბრიქსის გავლენა გლობალურ ინსტიტუტებზე და დასავლური წესრიგის გამოწვევები

BRICS-ი ცდილობს გადაახალისოს ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) და მსოფლიო ბანკი (WB)[84]. ბრიქსის წევრები, მიზანმიმართულად ამცირებენ დოლარზე დამოკიდებულებას[85], ამ მიმართულებით, განსაკუთრებით აქტიურობენ: რუსეთი და ჩინეთი[86]. ახალი განვითარების ბანკი (NDB) და პირობითი რეზერვების მექანიზმი (CRA), ქმნიან ალტერნატიულ სტრუქტურებს.[87]

BRICS-ი უარყოფს ჰეგემონიზმს, ინტერვენციონიზმს და ადამიანის უფლებების სახელით გეოპოლიტიკურ ზეწოლას[5]. დასავლური ქვეყნები მას აღიქვამენ, როგორც ღირებულებით ალტერნატივა/.[88]

აღსანიშნავია, რომ ამერიკელი ექსპერტის, გრეჰემ ელისონის აზრით, აშშ-სა და ჩინეთს

[81] The Diplomat, "China-India Border Tensions: The Long Shadow."
URL: https://thediplomat.com/2023/11/china-india-border-tensions-the-long-shadow/
(ბოლოს გადამოწმებულია: 08.06.2025)
[82] BRICS Info, "About BRICS: Governance and Consensus."
URL: http://infobrics.org/about/
(ბოლოს გადამოწმებულია: 08.06.2025)
[83] Istomin, I. (2021). "BRICS in Global Governance: From Criticism to Action." *MGIMO Journal of International Relations.*
[84] Keohane, R. (1984). *After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy*. Princeton University Press.
[85] China Daily, "China, Russia, and de-dollarization efforts gain momentum."
URL: https://www.chinadaily.com.cn/a/202401/20/WS65abcc32a31082fc043b4f31.html
(ბოლოს შემოწმებულია: 08.06.2025)
[86] Reuters, "BRICS explores new currency to cut reliance on US dollar."
URL: https://www.reuters.com/world/brics-currency-2023-07-20/
(ბოლოს შემოწმებულია: 08.06.2025)
[87] The New Development Bank, "About Us."
URL: https://www.ndb.int/about-us/
(ბოლოს შემოწმებულია: 08.06.2025)
[88] Stuenkel, O. (2015). *The BRICS and the Future of Global Order*. Lexington Books.

შორის მზარდი დაპირისპირება, შესაძლოა დაექვემდებაროს ე.წ. „ტუკიდიდესის ხაფანგის“ ლოგიკას (Thucydides Trap), რაც ისტორიულად ნიშნავს, რომ მოქმედ ჰეგემონსა და მზარდ ძალას შორის, კონფლიქტი თითქმის გარდაუვალია. ელისონის განცხადებით, თუ ორივე მხარე ვერ მოახერხებს დაძაბულობის სტრატეგიულად მართვას, მსოფლიოს, ახალი ფართომასშტაბიანი კონფლიქტის საფრთხე ემუქრება.[89]

დასკვნა

BRICS-ი წარმოადგენს დინამიკურ ძალას გლობალურ არენაზე, რომელიც აქტიურად ცდილობს მრავალპოლარული წესრიგის ჩამოყალიბებას მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ მისი ინსტიტუციური არქიტექტურა ჯერ კიდევ ვითარდება და შესაძლოა, სუსტიც კი მოგვეჩვენოს დასავლურ სტრუქტურებთან შედარებით, BRICS მაინც ახერხებს სტრატეგიული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას – კერძოდ, თანასწორობაზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგის იდეის წინ წაწევას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც ტრადიციული ლიბერალურ-ჰეგემონისტური სისტემა კრიზისს განიცდის.

დასავლური ჰეგემონიის შესუსტებისა და გლობალური გამოწვევების გაღრმავების ფონზე, BRICS ქმნის ალტერნატიულ პლატფორმას, რომელიც პასუხობს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოთხოვნებს. ის არა მხოლოდ ცდილობს გლობალური ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის გადანაწილებას, არამედ აქტიურად უჭერს მხარს მრავალმხრივობის პრინციპებს, სუვერენიტეტს და შიდა საქმეებში ჩაურევლობას.

BRICS-ის გაფართოება, განსაკუთრებით 2024 წელს ახალი წევრების მიღებით, კიდევ უფრო აძლიერებს მის პოზიციას, როგორც გლობალური სამხრეთის გეოეკონომიკური გამოხატულება. ეს გაფართოება მოწმობს, რომ სულ უფრო მეტი

[89] **Allison, G. (2017).** *Destined for War: Can America and China Escape Thucydides's Trap?* Houghton Mifflin Harcourt.
URL: https://www.belfercenter.org/publication/destined-war
(ბოლოს შემოწმებულია: 08.06.2025)

სახელმწიფო ხედავს გაერთიანებაში პოტენციალს, დაუპირისპირდეს არსებულ წესრიგს და შექმნას უფრო სამართლიანი და დაბალანსებული გლობალური სისტემა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ XXI საუკუნის მსოფლიო წესრიგი შესაძლოა სწორედ BRICS-ის მსგავსი ფორმატებისგან ჩამოყალიბდეს, სადაც ძალაუფლება უფრო მეტად იქნება განაწილებული და სადაც განვითარებად ქვეყნებს ექნებათ მეტი ხმა გლობალური პოლიტიკისა და ეკონომიკის ფორმირებაში. BRICS არ არის მხოლოდ ეკონომიკური ბლოკი; ეს არის სტრატეგიული ალიანსი, რომელიც მიზნად ისახავს ძალაუფლების ცენტრების დივერსიფიკაციას და ახალი გეოპოლიტიკური ლანდშაფტის შექმნას.

გამოყენებული ლიტერატურა

ყიფიანი, ვ. „რეგიონალური ურთიერთკავშირები - დამატებითი შესაძლებლობა ქვეყნის მეტი უსაფრთხოებისა და უკეთესი ეკონომიკისათვის“, ინტერპრესნიუსი, თბილისი, 2020.

Al Jazeera (2023). BRICS invites six countries to join the bloc. URL: https://www.aljazeera.com/news/2023/8/24/brics-invites-six-countries-to-join-the-bloc (ბოლოს ნანახია: 08.06.2025)

Allison, G. (2017). Destined for War: Can America and China Escape Thucydides's Trap? Houghton Mifflin Harcourt.

Amin, S. (2006). Beyond US Hegemony? Assessing the prospects for a Multipolar World. Zed Books.

Belt and Road Portal. Belt and Road cooperation. URL: https://www.yidaiyilu.gov.cn/ (ბოლოს ნანახია: 08.06.2025)

China Daily (2024). China, Russia, and de-dollarization efforts gain momentum. URL: https://www.chinadaily.com.cn/a/202401/20/WS65abcc32a31082fc043b4f31.html (ბოლოს ნანახია: 08.06.2025)

Kaplan, R. (2013). Anarchy and Hegemony. Stratfor Global Affairs. URL: https://worldview.stratfor.com/article/anarchy-and-hegemony (ბოლოს ნანახია: 08.06.2025)

Keohane, R. (1984). After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy. Princeton University Press.

MGIMO Journal of International Relations (2021). Istomin, I. BRICS in Global Governance: From Criticism to Action.

O'Neill, J. (2001). Building Better Global Economic BRICs. Goldman Sachs Global Economics Paper No. 66. URL: https://www.goldmansachs.com/insights/archive/archive-pdfs/building-better-brics.pdf (ბოლოს ნანახია: 08.06.2025)

Reuters (2023). BRICS explores new currency to cut reliance on US dollar. URL: https://www.reuters.com/world/brics-currency-2023-07-20/ (ბოლოს ნანახია: 08.06.2025)

South African Government. South Africa in BRICS. URL: https://www.gov.za/about-government/international-relations/south-africa-brics (ბოლოს ნანახია: 08.06.2025)

Statista (2024). Share of global gross domestic product (GDP) based on purchasing-power-parity (PPP) in 2024, by country group. URL: https://www.statista.com/statistics/270439/global-gross-domestic-product-gdp-by-country-group/ (ბოლოს ნანახია: 08.06.2025)

Stuenkel, O. (2015). The BRICS and the Future of Global Order. Lexington Books.

The Diplomat (2023). China-India Border Tensions: The Long Shadow. URL: https://thediplomat.com/2023/11/china-india-border-tensions-the-long-shadow/ (ბოლოს ნანახია: 08.06.2025)

The New Development Bank, "About Us." URL: https://www.ndb.int/about-us/ (ბოლოს ნანახია: 08.06.2025)